საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1 „10" მარტი 2017 წ.

წ ა რ დ გ ი ნ ე ბ ა

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის რეგლამენტის თაობაზე

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 63-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, წარედგინოს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციას „საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ" პროექტი დასამტკიცებლად, თანდართული სახით.

ლევან მურუსიძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი

პროექტი

„საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“

I. საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის რეგლამენტში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-6 მუხლის:

ა) პირველი პუნქტის:

ა.ა) „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) ისმენს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისა და საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარის ყოველწლიურ ანგარიშებს, ასევე, მოთხოვნის შემთხვევაში, მაგრამ წელიწადში ერთხელ მაინც - დამოუკიდებელი ინსპექტორის ანგარიშს გაწეული საქმიანობის შესახებ;“;

ა.ბ) „ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ზ) საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის წარდგინებით ამტკიცებს სადისციპლინო კოლეგიის საქმიანობის წესს;“;

ა.გ) „თ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ი“ ქვეპუნქტი:

„ი) უფლებამოსილია, სრული შემადგენლობის არანაკლებ 1/3-ით, შესაბამისი საფუძვლის არსებობისას, საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მიმართოს წინადადებით დამოუკიდებელი ინსპექტორის თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე.“;

ბ) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. კონფერენცია, დამსწრეთა ხმების უმრავლესობით, ირჩევს კონფერენციის ხმის დამთვლელ კომისიას 5 მოსამართლე წევრის შემადგენლობით, რომელიც თავის წევრთაგან ხმათა უმრავლესობით ირჩევს თავმჯდომარეს და მდივანს. ხმის დამთვლელი კომისია ხელმძღვანელობს და თვალყურს ადევნებს კენჭისყრის პროცესს და ითვლის კენჭისყრის შედეგებს.“;

გ) მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. პირს, რომელსაც უკავია უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის ან საკვალიფიკაციო პალატის წევრის ან სასამართლოს თავმჯდომარის, მისი პირველი მოადგილის ან მოადგილის, სასამართლო კოლეგიის ან პალატის თავმჯდომარის თანამდებობა და კენჭს იყრის იმ წევრის თანამდებობაზე, რომელსაც არ აქვს უფლება, შეითავსოს რომელიმე ზემოთ აღნიშნული თანამდებობა, საბჭოს წევრად არჩევის შემთხვევაში უწყდება საბჭოს წევრის თანამდებობასთან შეუთავსებელ თანამდებობაზე ყოფნის უფლებამოსილება.“;

დ) მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. კონფერენცია ცალკე უყრის კენჭს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატებს იმ მოსამართლე წევრის თანამდებობაზე, რომელსაც, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 47-ე მუხლის მე-4 პუნქტის

თანახმად, აქვს უფლება, საბჭოს წევრის თანამდებობასთან ერთად ეკავოს სასამართლოს თავმჯდომარის, მისი პირველი მოადგილის ან მოადგილის ან სასამართლო კოლეგიის ან პალატის თავმჯდომარის თანამდებობა, და ცალკე უყრის კენჭს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატებს იმ მოსამართლე წევრის თანამდებობაზე, რომელსაც არ აქვს უფლება, შეითავსოს რომელიმე აღნიშნული თანამდებობა.";

ე) მე-11 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„11. თუ იმ წევრის თანამდებობაზე, რომელსაც აქვს უფლება, შეითავსოს სასამართლოს თავმჯდომარის, მისი პირველი მოადგილის ან მოადგილის ან სასამართლო კოლეგიის ან პალატის თავმჯდომარის თანამდებობა, არჩევის მსურველთა რაოდენობა ასარჩევ პირთა რაოდენობაზე ნაკლებია, ან თუ კენჭისყრის შედეგად საჭირო რაოდენობის ხმები ასარჩევ პირთა რაოდენობაზე ნაკლებმა პირმა მიიღო, ვაკანტურ თანამდებობაზე შეიძლება აირჩეს პირი, რომელსაც არ უკავია სასამართლოს თავმჯდომარის, მისი პირველი მოადგილის ან მოადგილის ან სასამართლო კოლეგიის ან პალატის თავმჯდომარის თანამდებობა. თუ ხელახალი კენჭისყრის (მე-2 ტური) შედეგად ზემოაღნიშნული წევრის თანამდებობაზე დარჩა ვაკანტური ადგილი (ადგილები), ტარდება ხელახალი არჩევნები (პირველი და მე-2 ტური) იმ მოსამართლეებს შორის, რომელთაც არ უკავიათ სასამართლოს თავმჯდომარის, მისი პირველი მოადგილის ან მოადგილის ან სასამართლო კოლეგიის ან პალატის თავმჯდომარის თანამდებობა და დასახელებულნი იქნებიან კანდიდატად.".

2. 24-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დღის წესრიგის საკითხებს ადმინისტრაციულ კომიტეტს აცნობს კომიტეტის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში - სხდომის თავმჯდომარე.".

3. 26^5 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. დაინტერესებულმა პირებმა კონფერენციის ჩატარებამდე ერთი დღით ადრე მაინც უნდა გაიარონ აკრედიტაცია ადმინისტრაციული კომიტეტის სამდივნოში.".

II. ეს ცვლილება ამოქმედდეს დამტკიცებისთანავე.